საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი 17 09 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **დ. ხუციშვილი,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტისდირექტორის მოადგილე **ო. დანელია,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი **ს. ჯანელიძე,** სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი **გ. ბაჯელიძე,** სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამშენებლო სამმართველოს უფროსი **ვ. ღვინიაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ. ქუთაისში განთავსებული პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ესკიზური პროექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №903-ე კონკურსზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

№903 – კონკურსზე დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ:

1) შ.პ.ს. "საქპროექტარქიტექტურა"-მ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა წინადადების ღირებულებით 9500 ლარი;

საკონკურსო კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (ესკიზური პროექტი) და განხილვის შედეგად საკონკურსო კომისიის მიერ არ იქნა მოწონებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება **ქ. ქუთაისში განთავსებული პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ესკიზური პროექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული №903-ე კონკურსი** გამოცხადდეს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

კომისიამ დაადგინა:

1. **ქ. ქუთაისში განთავსებული პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ესკიზური პროექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული №903-ე კონკურსი** გამოცხადდეს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

2. კომისის აპარატმა უზრუნველყოს დადგენილი წესის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანირებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუციშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

ო. დანელია

ს. ჯანელიძე

გ. ბაჯელიძე

ვ. ღვინიაშვილი